

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის თეორია“
მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები**

შემოქმედებითი ტურები:

1. მუსიკის თეორია, ფორტეპიანო:

- ა) სოლფეჯიო – წერა (კარნახი, სმენითი ანალიზი);
სოლფეჯიო – ზეპირი (ფურცლიდან კითხვა);
- ბ) ჰარმონია – წერა (ტესტი) და ზეპირი;
- გ) ფორტეპიანო.

2. მუსიკალური ლიტერატურა, ქართული მუსიკალური ფოლკლორი:

- ა) პროფესიული მუსიკის ნიმუშების გამოცნობა (ზეპირი)
- ბ) მუსიკალური ლიტერატურა (ზეპირი);
- გ) ქართული მუსიკალური ფოლკლორი (ზეპირი):
 - თეორიული საკითხები, • სიმღერები;

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით;
დადებითი შეფასებაა 51-100.

სოლფეჯიო (წერა)

შენიშვნა: აბიტურიენტებმა კარნახი და სმენითი ანალიზი უნდა ჩაწერონ აუდიოჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებული) მიხედვით.

კარნახი

აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს სამხმიანი კარნახი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საშუალო რგოლში სოლფეჯიოს კურსის პროგრამის მოთხოვნები. ჩაწერის დრო – 30 წთ.

სმენითი ანალიზი:

1. კილო – მაჟორი და მინორი (ბუნებრივი, ჰარმონიული, მელოდიური, ორმაგად ჰარმონიული);
დიატონური კილოები; პენტატონიკა (მაჟორული და მინორული); სიმეტრიული კილო (მთელტონიანი და შემცირებული) (იკვრება 1-ჯერ).
2. ინტერვალი – ყველა წმინდა, დიდი და პატარა (მარტივი და შედგენილი), გადიდებული და შემცირებული – გადაწყვეტით (იკვრება 1-ჯერ).
3. მოდულირებული პერიოდი (I ხარისხის მონათესავე ტონალობაში) მხატვრული
ლიტერატურიდან (მაგ. ჰაიდნი სონატა c moll II ნაწილი, საწყისი პერიოდი) ან შედგენილი
(იკვრება 3-ჯერ).

სოლფეჯიო (ზეპირი)

ფურცლიდან კითხვა

- ა) ერთხმიანობა (სავარაუდო სირთულე: კაჩალინა – სოლფეჯიო, I ტ., ერთხმიანობა. მ., 1981 წ. N26);
- ბ) ორხმიანობა ერთ-ერთი ხმის ინსტრუმენტზე დაკვრით (სავარაუდო სირთულე: აგაშანოვი - სოლფეჯიოს კურსი. გამოცემა 3, ორხმიანობა, მ., 1985 წ. N68).

ჰარმონია (წერა - ტესტი)

ტესტი შეიცავს: მელოდიის ჰარმონიზაციას (8-10ტ.).

(მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი).

ჰარმონია (ზეპირი)

1. მელოდიის ჰარმონიზაცია – ინსტრუმენტზე დაკვრით. მოდულირებული პერიოდი (ტონალობათა I ხარისხის ნათესაობა);
2. ტონალური გეგმა – დაკვრით. 4-6 ტ. ნაგებობა. გამოყენებული უნდა იქნას მოდულაციის სხვადასხვა ხერხი. IV³, V³, VI³, II³, აგრეთვე ენჰარმონიული მოდულაცია D₇ და შემცირებული სეპტაკორდის საშუალებით, არააკორდული ბგერებით;
3. ჰარმონიული ანალიზი – საანალიზოდ აბიტურიენტს ეძღვევა ერთი მაგალითი მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ- ან სამნაწილიანი, რთული სამნაწილიანი, ვარიაციული, რონდოს, რონდო-სონატის ან სონატური ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები, კადანსები, ფაქტურა, აკორდივა, ჰარმონიული საქცევები და განათლების საშუალო როლის ჰარმონიის სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოვლენები.

ფორტეპიანო

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. პოლიფონიური ნაწარმოები (პრელუდია და ფუგა ან სამხმიანი ინვენცია);
2. კლასიკური სონატის I ნაწილი ან II და III ნაწილები;
3. პიესა.

მუსიკალური ლიტერატურა

აბიტურიენტმა მუს.ლიტერატურის გამოცდაზე უნდა გამოავლინოს განათლების საშუალო რგოლში საზღვარგარეთისა და ქართული მუსიკალური ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული მასალის ცოდნა.

გამოცდა ტარდება ზეპირი სახით. აბიტურიენტმა უნდა გამოიცნოს პროფესიული მუსიკის ნიმუშები და უპასუხოს ბილეთში შემავალ საკითხებს.

ბილეთი შედგება 3 საკითხისგან – აქედან 2 საზღვარგარეთის ქვეყნების, ერთი კი ქართული მუს.ლიტერატურიდან. პირველი საკითხი წარმოდგენილი უნდა იყოს განსახილველი ნაწარმოებების ანალიზით, მომდევნო საკითხები კი კომპოზიტორის შემოქმედების ზოგადი დახასიათების ფორმატით.

I - საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკალური ლიტერატურის საკითხები:

- გ. ფ. ჰენდელი. შემოქმედების დახასიათება; ორატორიული შემოქმედება და ორატორია „სამსონი“.
- ი. ს. ბახი. შემოქმედების დახასიათება; ინსტრუმენტული შემოქმედება (საკლავირო და საორგანო მუსიკა) ან ვოკალურ-ინსტრუმენტული შემოქმედება (მესა სი მინორი).
- ქ. ვ. გლუკი. შემოქმედების დახასიათება; საოპერო რეფორმა და ოპერა „ორფეუსი და ევრიდიკე“.
- ვენის კლასიკური სკოლა; ი. ჰაიდნი. შემოქმედების დახასიათება; სიმფონიური შემოქმედება (სიმფონია N103).
- ვ. ა. მოცარტი. შემოქმედების დახასიათება; საოპერო შემოქმედება („ფიგაროს ქორწინება“ ან „დონ ჯოვანი“); ან სიმფონიური შემოქმედება: სიმფონია N40, სოლ მინორი.
- ლ. ვან ბეთჰოვენი. შემოქმედების დახასიათება; საფორტეპიანო სონატები (N8, 14, 23) ან სიმფონიური შემოქმედება (სიმფონიები N3 ან N5).
- მუსიკალური რომანტიზმი: ფ. შუბერტი. შემოქმედების დახასიათება; ვოკალური შემოქმედება (სიმღერები და ვოკალური ციკლები „მშვენიერი მეწისქვილე ქალი“); ან სიმფონიური შემოქმედება (სიმფონია N8, „დაუმთავრებელი“).
- კ. მ. ვებერი. შემოქმედების დახასიათება; საოპერო შემოქმედება და „თავისუფალი მსროლელი“.
- ფ. მენდელსონი. შემოქმედების დახასიათება; სიმფონიური შემოქმედება (უვერტიურა „ზაფხულის ღამის სიზმარი“ ან სავიოლინო კონცერტი მი მინორი).
- ჯ. როსინი. შემოქმედების დახასიათება; ოპერა „სევილიელი დალაქი“.
- რ. შუმანი. შემოქმედების დახასიათება; საფორტეპიანო შემოქმედება („კარნავალი“).
- ჰ. ბერლიოზი. შემოქმედების დახასიათება; სიმფონიური შემოქმედება და „ფანტასტიკური სიმფონია“.
- რ. ვაგნერი. შემოქმედების დახასიათება; საოპერო რეფორმა (ოპ. „ლოენგრინი“, ოპ. „ტანკორიზერის“ უვერტიურა).
- ი. ბრამსი. შემოქმედების დახასიათება; სიმფონიური შემოქმედება და სიმფონია N4, მი მინორი.

- ჯ. ვერდი. შემოქმედების დახასიათება; საოპერო შემოქმედება (ოპერები: „რიგოლეტო“, „ტრავიატა“ ან „აიდა“).
- ჟ. ბიზე. შემოქმედების დახასიათება; საოპერო შემოქმედება და ოპ. „კარმენი“.
- მუსიკალური იმპრესიონიზმი. დებიუსის შემოქმედების დახასიათება (საფორტეპიანო პრელუდიები, „ნოქტიურნები“).
- მ. რაველი. შემოქმედების დახასიათება („ბოლერო“).

II - ახალი ეროვნული სკოლები:

- ფ. შოპენი. შემოქმედების დახასიათება; საფორტეპიანო შემოქმედება; მცირე ან დიდი ფორმის ნაწარმოებები (ბალადა N1, სოლ მინორი ან სონატა N2, სი ბემოლ მინორი).
- ფ. ლისტი. შემოქმედების დახასიათება; საფორტეპიანო შემოქმედება; ან სიმფონიური შემოქმედება და სიმფონიური პოემა „პრელუდები“.
- ა.დვორეკი. შემოქმედების დახასიათება; სიმფონია N5 „ახალი სამყაროდან“, მი მინორი.
- პ. ი. ჩაიკოვსკი. შემოქმედების დახასიათება; სიმფონიური შემოქმედება (სიმფონია N4); ან საოპერო შემოქმედება („ევგენი ონეგინი“).
- ე. გრიგი. შემოქმედების დახასიათება.
- „მძლავრი ჯგუფი“ და მ. პ. მუსორგსკი. შემოქმედების დახასიათება.
- ა. ნ. სკრიაბინი. შემოქმედების დახასიათება.
- ს. ვ. რახმანინოვი. შემოქმედების დახასიათება.
- ს. ს. პროკოფიევი. შემოქმედების დახასიათება.
- დ. დ. შოსტაკოვიჩი. შემოქმედების დახასიათება.

III - ქართული მუსიკალური ლიტერატურის საკითხები:

- XIX ს. ქართული მუსიკალური კულტურის მიმოხილვა.
- მ. ბალანჩივაძე. შემოქმედების დახასიათება.
- დ. არაყიშვილი. შემოქმედების დახასიათება.
- ზ. ფალიაშვილი. შემოქმედების დახასიათება. ოპერები „აბესალომ და ეთერი“ ან „დაისი“.
- ნ. სულხანიშვილი. შემოქმედების დახასიათება.
- ვ. დოლიძე. შემოქმედების დახასიათება.
- შ. მშველიძე. შემოქმედების დახასიათება.
- ა. ბალანჩივაძე. შემოქმედების დახასიათება.
- ა. მაჭავარიანი. შემოქმედების დახასიათება.
- ო. თაქთაქიშვილი. შემოქმედების დახასიათება.
- ს. ცინცაძე. შემოქმედების დახასიათება.
- ს. ნასიძე. შემოქმედების დახასიათება.
- გ. ყანჩელი. შემოქმედების დახასიათება.

პროფესიული მუსიკის ნიმუშების გამოცნობა

მოსმენის შედეგად აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს: კომპოზიტორი, ეპოქა, სტილი, ნაწარმოების სრული დასახელება, თხზულების ნომერი, ტონალობა, ოპერის შემთხვევაში მოქმედების და სურათის ნომერი. გამოსაცნობად გაუდერდება 5 ნიმუში.

საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკალური ლიტერატურა

- გ. ფ. ჰენდელი – ორატორია „სამსონი“, I ნაწილიდან ფილისტიმელთა გუნდი „დაუკარ ტიმპანო“, სამსონის არია „ღამეა ბნელი“.
- ი. ს. ბახი – საორგანო ტოკატა და ფუგა რე მინორი; ქრომატიული ფანტაზია და ფუგა რე მინორი; „კარგად ტემპერირებული კლავირის“ I ტომის პრელუდიები და ფუგები: N1, დო მაჟორი, N2, დო მინორი; მესა სი მინორი: N1 „Kyrie eleison“, N15 „Et incarnatus“, N16 „Crucifixus“, N17 „Et resurrexit“.
- ქ. ვ. გლუკი – ობ. „ორფეუსი და ევრიდიკე“ - მწყემსების გუნდი I მოქმედებიდან; II მოქმედებიდან: სცენა ფურიებთან I სურათიდან, ფლეიტის სოლო II სურათიდან; III მოქმედებიდან ორფეუსის არია.
- ი. ჰაიდნი – სიმფონია N103, მი ბემოლ მაჟორი, „ლიტავრების ტრემოლოთი“;
- ვ. ა. მოცარტი – სიმფონია N40, სოლ მინორი; ოპ. „ფიგაროს ქორწინება“: უვერტიურა, ფიგაროს კავატინა და არია I მოქმედებიდან, ქერუბინოს არიები I და II მოქმედებიდან; ოპ. „დონ ჯოვანი“: უვერტიურა, I მოქმედებიდან: ლეპორელოს არია „სიით“, დონ ჯოვანის არია „შამპანურით“, დონ ჯოვანისა და ცერლინას დუეტინო, დონ-ჯოვანის სერენადა II მოქმედებიდან.
- ლ. ვან ბეთჰოვენი – საფორტეპიანო სონატა N8, თხზ. 13, დო მინორი; სიმფონია N5, დო მინორი.
- ფ. შუბერტი – სიმღერები: „მარგარიტა ჯარასთან“, ვოკალური ბალადა „ტყის მეფე“; ციკლი „მშვენიერი მეწისქვილე ქალი“: სიმღერები - N1 „გზაში“, N2 „საით“, N19 „მეწისქვილე და წაყრო“. სიმფონია N8, სი მინორი, „დაუმთავრებელი“.
- ჯ. როსინი – ოპ. „სევილიელი დალაქი“: უვერტიურა, I მოქმედების I სურათიდან: ალმავივას კავატინა, ფიგაროს კავატინა, II სურათიდან როზინას კავატინა, ბაზილიოს არია.
- ფ. მენდელსონი – უვერტიურა „ზაფხულის ღამის სიზმარი“, სავიოლინო კონცერტი, მი მინორი.
- კ. მ. ვებერი – ოპ. „თავისუფალი მსროლელი“: უვერტიურა, კასპარის სიმღერა, მაქსის არია I მოქმედებიდან, აგატას არია II მოქმედებიდან, მონადირეთა გუნდი III მოქმედებიდან.
- რ. შუმანი – საფორტეპიანო ციკლი „კარნავალი“, თხზ. 9.
- ფ. შოპენი – ბალადა N1 სოლ მინორი; სონატა N2 სი ბემოლ მინორი; პოლონეზი თხზ. 40 N1 ლა მაჟორი.
- ჰ. ბერლიოზი – „ფანტასტიკური სიმფონია“.
- ფ. ლისტი – სიმფონიური პოემა N3 „პრელუდები“, სონატა სი მინორი; რაფსოდია N2 დო დიეზ მინორი.
- რ. ვაგნერი – ოპ. „ტანკოიზერის“ უვერტიურა; ოპ. „ლოენგრინი“: ფორშპილი; I მოქმედებიდან ლოენგრინის „გედთან გამოთხოვება“, III მოქმედებიდან საქორწილო მარში.
- ი. ბრამსი – სიმფონია N4 მი მინორი.

- ქ. ბიზე – ოპ. „კარმენი“: საორკესტრო შესავალი, I მოქმედებიდან: კარმენის „ჰაბანერა“, „სეგიდილია“; II მოქმედებიდან ბოშური სიმღერა; ხოზეს არია „ყვავილით“, III აქტის საორკესტრო შესავალი, მარჩიელობის სცენა.
- ჯ. ვერდი – ოპ. „რიგოლეტო“: შესავალი; I მოქმედების I სურათიდან ჰერცოგის ბალადა, II სურათიდან - ჯილდას არია; II მოქმედებიდან რიგოლეტოს სცენა და არია; III მოქმედებიდან კვარტეტი, ჰერცოგის სიმღერა. ოპ. „ტრავიატა“: შესავალი, I მოქმედებიდან: „სუფრული“ და ვალსი, ვიოლეტას არიები I და III მოქმედებიდან, ჟერმონის არია II მოქმედებიდან. ოპ. „აიდა“: შესავალი, I მოქმედების I სურათიდან: რადამესის რომანსი, აიდას სცენა; აიდას და რადამესის დუეტი IV მოქმედების II სურათიდან.
- ე. გრიგი – „პერ-გიუნტი“, სიუიტა N1.
- ა. დვორჯაკი – სიმფონია N5 „ახალი სამყაროდან“, მი მინორი.
- პ. დებიუსი – საორკესტრო სიუიტა „ნოქტიურნები“; საფორტეპიანო პრელუდია N8 „სელისფერთმიანი ქალიშვილი“.
- მ. რაველი – საორკესტრო პიესა „ბოლერო“.
- მ. პ. მუსორგსკი – ოპ. „ბორის გოდუნოვი“: შესავალი, ბორისის მონოლოგები პროლოგის II სურათიდან და II მოქმედებიდან, ღვთის გლახის სიმღერა IV მოქმედების III სურათიდან; საფორტეპიანო სიუიტა „სურათები გამოფენიდან“.
- ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი – სიმფონიური სიუიტა „შეპრეზადა“ (I ნაწილი);
- პ. ი. ჩაიკოვსკი – სიმფონია N4, ფა მინორი; ოპ. „ევგენი ონეგინი“: საორკესტრო შესავალი, I მოქმედებიდან ტატიანას წერილის სცენა (II სურათი), ლენსკის არია II მოქმედების V სურათიდან, გრემინის არია III მოქმედების VI სურათიდან.
- ს. ვ. რახმანინოვი – საფორტეპიანო კონცერტი N2, დო მინორი.
- ა. ნ. სკრიაბინი – საფორტეპიანო სონატა N4, თხზ. 30, ფა დიეზ მაჟორი.
- ს. ს. პროკოფიევი – ბალეტი „რომეო და ჟულიეტა“: შესავალი, I მოქმედების I სურათიდან „ქუჩა იღვიძებს“, II სურათიდან „ჯულიეტა-გოგონა“, „რაინდების ცეკვა“;
- დ. დ. შოსტაკოვიჩი – სიმფონიები: N5, რე მინორი (I ნაწილი); N7, დო მაჟორი, „ლენინგრადული“ (I ნაწილი).

ქართული მუსიკალური ლიტერატურა

- მ. ბალანჩივაძე – ოპ. „დარეჯან ცბიერი“: მასხარას სიმღერები I და IV მოქმედებიდან, გოჩას, დარეჯანის და მეფე გიორგის არიები IV მოქმედებიდან. რომანსი „ოდესაც გიცქერ“.
- დ. არაყიშვილი – რომანსები: „ვარსკვლავიანსა ღამეს“, „მე შენ გელი“, „ივერიის მთებზე“, „შემოღამდება“; ოპ. „თქმულება შოთა რუსთაველზე“: აბდულ-არაბის არიოზო და დუეტი გულჩინასთან III მოქმედებიდან.
- ზ. ფალიაშვილი – ოპ. „აბესალომ და ეთერი“: შესავალი, I მოქმედებიდან: მონადირეთა გუნდი, ეთერის არია, აბესალომის არიოზო, მურმანის არია; II მოქმედებიდან: გუნდი „აბიო მეფე“, კვინტეტი, მარიხის კანცონეტა; III მოქმედებიდან: აბესალომის სცენა და არიოზო; IV მოქმედებიდან: ქალთა გუნდი, აბესალომის და მურმანის დუეტები, ანსამბლი „წამწამსა და წამწამს შუა“, ფინალური ქორალი. ოპ. „დაისი“: შესავალი, I მოქმედებიდან: შაირები, მაროსა და მალხაზის დუეტი, მალხაზის არია; II მოქმედებიდან: ცანგალას სიმღერა, კიაზოს

- სიმღერა, კიაზოს არია, მაროს რეჩიტატივი და არია, კიაზოს მიმართვა ხალხისადმი, გუნდი „მტერი ბარში გადმოსულა“; III მოქმედებიდან: მალხაზის არიოზო, მაროს ტირილი.
- 6. სულხანიშვილი – საგუნდო სიმღერები „სამშობლო ხევსურისა“, „გუთნური“, „მესტვირული“, „ღმერთო, ღმერთო“.
 - 3. დოლიძე – ოპ. „ქეთო და კოტე“: I მოქმედებიდან: გუნდი, ლევანის არია, კოტეს პირველი არია; II მოქმედებიდან: მაკარის არია, ქეთოს არია („ერთ საღამოს“), კოტეს რომანსი, სტუმრების შემოსვლა; III მოქმედებიდან: მაკარისა და ბაბუსის დუეტი, ქეთოს და კოტეს ფინალური დუეტი.
 - შ. მშველიძე – სიმფონიური პოემა „ზვიადაური“ (I და II ნაწილი);
 - ა. ბალანჩივაძე – სიმფონია N1, სი მაჟორი, საფორტეპიანო კონცერტი N3, ლა მინორი.
 - ა. მაჭავარიანი – სავიოლინო კონცერტი რე მინორი; მავრიტანული ცეკვა ბალეტიდან „ოტელო“ (II მოქმედება).
 - ო. თაქთაქიშვილი – ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“: IV ნაწილი „პალესტინა“, V ნაწილი „ო, ენავ ჩემო“. ოპერა „მინდია“: შესავალი, მინდიას არიები I და III მოქმედებიდან; II მოქმედებიდან: მზიას არია, ჩალხიას სცენა და ბალადა.
 - ს. ცინცაძე – კვარტეტი N4, ფა მაჟორი.
 - ს. ნასიძე – სიმფონია N5 „ფიროსმანი“.
 - გ. ყანჩელი – სიმფონია N4.
 - ა. კვერნაძე – საორკესტრო პიესა „ცეკვა-ფანტაზია“.
 - რ. ლალიძე – ოპ. „ლელა“: ლელას არია I მოქმედებიდან. „საჭიდაო“.

ქართული მუსიკალური ფოლკლორი

თეორიული საკითხები ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში

1. ხევსურული ხალხური მუსიკა.
2. ფშაური ხალხური მუსიკა.
3. თუშური ხალხური მუსიკა.
4. მოხეური ხალხური მუსიკა.
5. მთიულური ხალხური მუსიკა.
6. ქართლ-კახური ხალხური მუსიკა.
7. მესხური ხალხური მუსიკა.
8. რაჭული ხალხური მუსიკა.
9. სვანური ხალხური მუსიკა.
10. იმერული ხალხური მუსიკა.
11. მეგრული ხალხური მუსიკა.
12. გურული ხალხური მუსიკა.
13. აჭარული ხალხური მუსიკა.
14. ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა.
15. ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი.

სიმღერები ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში

აბიტურიენტს მოეთხოვება 20 ხალხური სიმღერის ქვემოთ დასახელებული ვარიანტების ყველა ხმის მღერა ხმიდან ხმაზე გადასვლით:

ა. ანდრიაშვილი, ვ. მახარაძე. ქართული ხალხური სიმღერები. თბილისი: განათლება. 1971.

1. შინა ორგილ – გვ. 21-22.
2. მგზავრული – გვ. 26-27.
3. ბროლის ყელსა – გვ. 34-35.
4. აკა სი რექიშო – გვ. 39-40.
5. დალიე – გვ. 53.
6. საბოდიშო – გვ. 94-95.

ქართული ხალხური სიმღერა (რედაქტორ-შემდგენელი გრ. ჩხიცვაძე). ტომი I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

1. ჯვარი წინასა – გვ. 46-47
2. ჰერიო – გვ. 102
3. წაიყვანეს თამარ-ქალი – გვ. 160-161
4. ჩაუხდეთ ბარათაშვილსა – გვ. 163-164
5. ლაზარე – გვ. 184
6. ქართველო, ხელი ხმალს იკარ – გვ. 201-202
7. ია და ვარდო, თამარო – გვ. 210-211
8. თებრონე მიდის წყალზედა – გვ. 221-222
9. აღარ მწადია ცხვარშია – გვ. 223-224

ქართული ხალხური სიმღერები. კახური (ჩაწერილი ოთარ ჩიჯავაძის მიერ). ნაწილი მეორე. თბილისი: განათლება. 1969.

1. დიდება – გვ. 31

Грузинские народные песни (Составители: О. Чиджавадзе и В. Цагарейшвили). Москва: Музыка. 1964.

1. დელი ოდელი ოდელა – გვ. 47
2. ცანგალა და გოგონა – გვ. 63
3. ლაშქრად წასვლა – გვ. 66-67

ქართული ქალაქური ხალხური სიმღერები (შემდგენელი, წინასიტყვაობის, შესავალი წერილისა და შენიშვნების ავტორი ა. მშველიძე). თბილისი: სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება. 1970.

1. გალიაში – გვ. 175-176